

პროგრამა დამტკიცებულია
 აკადემიური საბჭოს №09-118 03.09.2014 დადგენილებით
 (შეტანილია ცვლილება № 6-62 19.10.2022 დადგენილებით)

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

1. ფაკულტეტი: განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

2. დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: სპორტი, 1014

3. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

4. კვალიფიკაციის დონე: მეექვსე

5. სწავლების ენა: ქართული

6. მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად): სპორტის ბაკალავრი, Bachelor of Sports

7. პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

8. პროგრამის ხელმძღვანელი: ალექსანდრე გობირახაშვილი
 თანახელმძღვანელი: ალექსანდრე იაშვილი

9. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს რელიზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები სსაფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს საბაკალავროს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მოხილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესი თვის საზღვრულ პირობებს. ამასთანავე, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მას ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდა მათემატიკაში ან ისტორიაში, აგრეთვე, გავლილი უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კონკურსი - სპორტული ტური.

10. პროგრამის მიზანია, სტუდენტს:
 1. მისცეს ფართო ცოდნა სპორტის მეცნიერების არსის და დანიშნულების, ასევე ფიზიკური აღზრდის და სპორტის თეორიის ფუნდამენტური ცნებების, ფსიქოლოგიის, მედიკო-ბიოლოგიური მეცნიერებების და სპორტის სხვადასხვა სახეობების (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჭიდაობა, კალათბურთი, ცურვა, ჭადრაკი და სხვა) საფუძვლების და ძირითადი თავისებურებების შესახებ;
 2. განუვითაროს სპორტისთვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარები, აგრეთვე წინასწარ განსაზღვრული

მითითებების შესაბამისად, სპორტის პრობლემატიკასთან დაკავშირებული კვლევის დაგეგმვის, განხორციელების და მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე სათანადო დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით;

3. განუვითაროს სპორტის სფეროსთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით, დარგში არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციის უნარი;

4. გამოუმუშაოს ცოდნის განახლებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით პროფესიული საქმიანობის უნარი.

11. სწავლის შედეგები: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:	
ცოდნა და გაცნობიერება	<ul style="list-style-type: none"> ▪ აღწერს სპორტის მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციებს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიის, ფსიქოლოგიის, მედიკო-ბიოლოგიური მეცნიერებების და სპორტის სხვადასხვა სახეობების (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჭიდაობა, კალათბურთი, ცურვა, ჭადრაკი და სხვა) სპეციფიკას; ▪ განსაზღვრავს ზოგადი და სპორტის ჰიგიენის, სპორტული წვრთნის საფუძვლების, სპორტის მენეჯმენტის, ბიომექანიკის ძირითად ცნებებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და თეორიებს და პრობლემურ საკითხებს, ასევე პროფესიის მნიშვნელობას, მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს.
უნარი	<ul style="list-style-type: none"> ▪ ამოიცნობს სპორტის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს და იყენებს სპორტის სფეროში არსებულ შემოქმედებითი, ლოგიკური ანალიზის მეთოდებსა და პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად; ▪ ახდენს მოძრავი თამაშების და სპორტის სხვადასხვა სახეობების (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჭიდაობა, კალათბურთი, ცურვა, ჭადრაკი და სხვა) ტექნიკური ელემენტების დემონსტრირებას; ▪ აგროვებს და განმარტავს სპორტისთვის დამახასიათებელ მონაცემებს, ანალიზებს განყენებულ მონაცემებს და აყალიბებს სათანადო დასკვნებს, შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო და ეთიკურისაკითხების გათვალისწინებით; ▪ მსჯელობს შესაბამისი ტერმინოლოგიით საკუთარი იდეების, სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს. ▪ შეიმუშავებს სპორტის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	<ul style="list-style-type: none"> ▪ ცოდნის მუდმივად განახლების გზით ანვითარებს საკუთარ პროფესიულ უნარებს, კომპეტენციის არეალს, შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. ▪ პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით სათანადო პასუხისმგებლობით.

12. დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები:

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებში, სპორტულ კლუბებში, გამაჯანსაღებელ ბანაკებში, ადგილობრივ, სამხარეო და საქართველოს სპორტის მმართველ ორგანოებში და სხვა დაწესებულებებში ნებისმიერ თანამდებობაზე, სადაც საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენს სპორტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

13. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების/სწავლის ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სალექციო მეთოდი - წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტრუქტურული აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს. იგი მსმენელისათვის გადაცემული საბაზო თეორიული ინფორმაციის საფუძველზე ქმნის საგნის შემდგომში დამოუკიდებლად შესწავლის წინაპირობას.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი აქტიურად გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა და მიდგომების მოძებნა. ასევე, როდესაც საჭიროა ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. იგი საჭიროებს ისეთ უნარებს, როგორცაა მოსმენა, ინსტრუქციის დაცვა, უკუკავშირი, თანამშრომლობა, აზრის გაზიარება. ვინაიდან ჯგუფი რამდენიმე ადამიანს აერთიანებს, ჯგუფური მუშაობის დაწყებისას საჭიროა ჯგუფის მუშაობის წესების და ნორმების ჩამოყალიბება, რომელსაც ჯგუფის წევრები დაიცავენ; ეს ნორმები უნდა არეგულირებდეს ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას და ყველა წევრს თანაბარი მონაწილეობის საშუალებას უნდა აძლევდეს;

პრაქტიკული მუშაობის მეთოდი გულისხმობს სტრუქტურების პრაქტიკულ მოქმედებებს, რომელიც ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და განვითარებაზე.

დემონსტრირება გულისხმობს დავალების, პროცედურის უშუალო შესრულებას, რასაც თანლექტორის ახსნა-განმარტება ახლავს. დემონსტრაციამოიცავს პირა ხსნა-განმარტებას (ინსტრუქტაჟს) და კონკრეტული დავალების, ამოცანის კეთებას ფაქტების, პროცესებისა და კონცეფციების ახსნის მიზნით.

ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების სწავლებისას.

წიგნზე (სახელმძღვანელოზე) მუშაობა შესაძლებელია ხორციელდებოდეს მასწავლებლის მეთვალყურეობით ან დამოუკიდებლად. არსებობს წიგნზე მუშაობის სხვადასხვა ფორმები: **კონსპექტირება, ტექსტის გეგმის შედგენა, ტესტირება, ციტირება, ანოტაცია, რევენზია, ცნობის შედგენა, ფორმალურ-ლოგიკური მოდელის შედგენა.**

დისკუსია წარმოადგენს აქტივობას, როდესაც (როგორც წესი) ლექტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სხვადასხვა წინადადების, მიდგომის, იდეის, პრობლემების გადაჭრის მეთოდების ჯგუფური განხილვა და ნიშნავს საწინააღმდეგო პოზიციების პოლემიკას, სხვადასხვა აზრის შეპირ (იშვიათად წერით) გამოხატვას. დისკუსია მიმდინარეობს ლექტორსა და სტუდენტებს, ან უფრო იშვიათად, მხოლოდ სტუდენტებს შორის.

ინდუქცია გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა კონკრეტულიდან ზოგადისაკენ, კერძო ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული.

დედუქცია გულისხმობს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლების პროცესში აზრის მსვლელობა ზოგადიდან კონკრეტულისაკენ არის მიმართული.

ანალიზი გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რითაც მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;

სინთეზი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს აქტივობა ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას;

ზუსტად რეგლამენტირებული ვარჯიშობის მეთოდი, გულისხმობს მოვარჯიშეთა ორგანიზაციას, რეგულაციას და შესაძლებელ სრულ რეგლამენტაციას, რომელიც შედგება მოძრაობათა ზუსტი, წინასწარ დადგენილი პროგრამისაგან;

ვარჯიშის მთლიანობაში და ნაწილ-ნაწილ შესწავლის მეთოდი, გულისხმობს მოძრაობით მოქმედებათა შესწავლას, რომელიც შეიძლება მიმდინარეობდეს მთლიანობაში და დანაწევრებით. მთლიანობაში (ინტეგრალური) და ნაწილ-ნაწილ (შერჩევითი) მიდგომა აადვილებს მოძრაობათა ეფექტურ დაუფლებას;

ცვალებადი ვარჯიშობის მეთოდი გულისხმობს ციკლური ხასიათის ვარჯიშების ხანგრძლივ, უწყვეტ შესრულებას სიჩქარის ცვალებადობით;

მულტიმედია საშუალებების გამოყენებით თვალსაჩინოების დემონსტრირების მეთოდი, გულისხმობს სასწავლო კინოფილმების, მაგნიტურ და ციფრულ მატარებლებზე განთავსებული სათანადო სასწავლო მასალის დემონსტრირებას. ჩაწერილი შესრულებული ვარჯიშების ჩვენებას, მისი ცალკეული ფაზების გამოყოფას, „სტოპ-კადრების“, მათი სრულყოფილი წარმოდგენის მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის შედეგების მისაღწევად შესაძლებელია სწავლების/სწავლის სხვა მეთოდების/აქტივობების გამოყენებაც.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები/აქტივობები კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ აისახება შესაბამის სილაბუსში.

14. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა და სასწავლო კურსების სილაბუსები:
(იხ. დანართი 1).

15. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა:
(იხ. დანართი 2).

16. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხორციელდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს რაოდენობრივი მაჩვენებელი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში ან ქულებში) საბოლოო შეფასებაში და შესაბამისი ინფორმაცია უნდა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სილაბუსში.
3. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების მეთოდი – საშუალება/საშუალებები (ზეპირი/წერიტი გამოცდა/გამოკითხვა, პროექტი, პორტფოლიო, ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიო ვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, გამოფენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) დასხვ);
4. შეფასების კრიტერიუმი წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე და რაც ნათლად უნდა იყოს ასახული სასწავლო კომპონენტის სილაბუსში.
5. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლისმე-6 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ შეფასების კომპონენტში, ასევე, არსებობის შემთხვევაში, ამ მუხლისმე-7 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ შეფასების მეთოდში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ამ მუხლისმე-9-მე-10 პუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
6. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.
7. პროგრამის სასწავლო კომპონენტის მიზნების, სწავლის შედეგების და საპეციფიკის გათვალისწინებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შესაძლებელია განისაზღვროს შეფასების მეთოდში/მეთოდებში.
8. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების (გარდა კონცენტრაციისა და ამოდულისა) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
9. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთისახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორისახისუარყოფითშეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა – 41-50 ქულა, რაცნიშნავს, რომსტუდენტსჩასაბარებლადმეტეიმუშაობასჭირდებადაემღვევადამოუკიდებელიმუშაობითდამატებითგამოცდაზეერთხელგასვლისუფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულადანაკლები, რაცნიშნავს, რომსტუდენტისმიერჩატარებულისამუშაოარარისსაკმარისიდანასასწავლოკურსი/საგანიახლიდანაქვსშესასწავლი.

10. საგანმანათლებლოპროგრამებისმიზნების, სწავლისშედეგების, სპეციფიკის, აგრეთვემინიმალურიკომპეტენციისზღვრებისგათვალისწინებით, შესაძლებელიაპროგრამისცალკეულისასწავლოკომპონენტისათვისგანისაზღვროსამმუხლისმე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისაგანგანსხვავებულიმინიმალურიდადებითიშეფასება, რომელიცარუნდაიყოს51 ქულაზენაკლებიდა 60 ქულაზემეტეი.
11. საგანმანათლებლოპროგრამისსასწავლოკომპონენტში FX-ისმიღებისანამმუხლისმე-10 პუნქტიდანსაზღვრულიდადებითიშეფასებისვერმიღებისშემთხვევაში, უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებაგალდებულიადანიშნოსდამატებითიგამოცდადასკვნიტიგამოცდისშედეგებისგამოცხადებიდანარანაკლებ 5 დღეში.
12. სტუდენტისმიერდამატებითგამოცდაზემიღებულშეფასებასარემატებადასკვნიტიშეფასებაშიმიღებულიქულათარაოდენობა.
13. დამატებითგამოცდაზემიღებულიშეფასებაარისდასკვნიტიშეფასებადააისახებასაგანმანათლებლოპროგრამისსასწავლოკომპონენტისსაბოლოოშეფასებაში.
14. დამატებითგამოცდაზემიღებულიშეფასებისგათვალისწინებითსასწავლოკომპონენტისსაბოლოოშეფასებაში 0-50 ქულისმიღებისშემთხვევაში, სტუდენტსუფორმდებაშეფასება F-0 ქულა.
15. შეფასების მეთოდები, მათი კონკრეტული ფორმები და შეფასების მაქსიმალური ქულის ხვედრითი წილი, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის პასუხისმგებელი ლექტორის მიერ, რაც აისახება სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

16. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

სასწავლო პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მაღალი კვალიფიკაციის, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები:

გვარი, სახელი	თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
გობირახაშვილი ალექსანდრე	მოწვეული სპეციალისტი	a.gobirakashvili@gmail.com
იაშვილი ალექსანდრე	პროფესორი	iashvili43@gmail.com
მძინარაშვილი გიორგი	ასისტენტ პროფესორი	gmdzinarashvili@gmail.com
ხეთაგური თამუნა	ასოცირებული პროფესორი	tkheta7@gmail.com
აბრამიშვილი ნუგზარ	პროფესორი	nugzarabramishvili@gmail.com
მუმლაძე მალხაზ	ასოცირებული პროფესორი	mmumladze@gmail.com
მიჩიტაშვილი მანანა	ასოცირებული პროფესორი	mananamichitashvili@gmail.com
ტოლიაშვილი ბექა	ასოცირებული პროფესორი	beka.tol@list.ru
ჭამპურიძე ნელი	პროფესორი	nelichampuridze@gmail.com
კეკოშვილი თამილა	მოწვეული სპეციალისტი	kekoshvilitam@gmail.com
უბირია მარიამი	მოწვეული სპეციალისტი	mubiria@gmail.com
შაქარაშვილი გელა	მოწვეული სპეციალისტი	gshakarashvili@yahoo.com
მელიქია თამარი	მოწვეული სპეციალისტი	tmelikia@gmail.com
ნასყიდაშვილი თამარ	მოწვეული სპეციალისტი	tamarnasyidashvili@gmail.com
პაპუკაშვილი ნელი	მოწვეული სპეციალისტი	papukashvili24@mail.ru
თენაძე ანზორ	მოწვეულისპეციალისტი	tenadzeanzor@gmail.com
ქასოშვილი ციალა	მოწვეული სპეციალისტი	natinati.p@mail.ru
კახიაშვილი მარინე	მოწვეული სპეციალისტი	marinika28@mail.ru
ჩაჩიბაია ირაკლი	მოწვეული სპეციალისტი	chachibaia.irakli@teachers.gov.ge
ტატალაშვილი ბექა	მოწვეული სპეციალისტი	tatalashvilibeqa11@gmail.com
ანდლულაძე ნიკოლოზ	მოწვეული სპეციალისტი	andguladzenikoloz46@gmail.com
ასტამაძე იასონ	მოწვეული სპეციალისტი	iason.astamadze@mail.ru
აზმაიფარაშვილი ლალი	მოწვეული სპეციალისტი	azmaifarashvilil@gmail.com

17. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, კერძოდ:

- სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზებით და ღია სპორტული მოედნებით;
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით და საკონფერენციო დარბაზებით;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკით და სამკითხველოებით;
- კომპიუტერული კლასებით, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამებით და სხვ;

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით (წიგნადი და ელექტრონული ფონდებით), სასწავლო პროცესის მართვის შიდა საუნივერსიტეტო სისტემით.

18. პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა:

საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება და მისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა ხორციელდება ფაკულტეტის შემოსავლებიდან, რაც გათვალისწინებულია სასწავლო უნივერსიტეტის ნაერთ ბიუჯეტში. იგი მიმართულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი და არაწიგნადი ფონდების შევსებაზე პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით, სტუდენტთა აქტივობის წახალისებაზე, ინტელექტუალური რესურსის მოზიდვაზე და სხვ.

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების მატრიცა

(2022-2026)

N	სასწავლო კურსი	წინაპირობები	
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები			
1	მძლეოსნობა I	-	
2	მძლეოსნობა II	1	
3	ტანვარჯიში I	-	
4	ტანვარჯიში II	3	
5	ბიომექანიკა	-	
6	სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია	-	
7	ფიზიკური აღზრდის თეორია	-	
8	ქართული ჭიდაობა	2, 4	
9	ფსიქოლოგიის საფუძვლები	-	
10	სპორტის თეორია	7	
11	თავისუფალი ჭიდაობა 1	-	
12	მომრავი თამაშები	2, 4	
13	თავისუფალი ჭიდაობა 2	11	
14	სპორტის მენეჯმენტი	-	
15	კალათბურთი	2, 4	
16	ძიუდო 1	-	
17	ცურვა	2, 4	
18	სპორტის ფსიქოლოგია	9	
19	ძიუდო 2	16	
20	ჭადრაკი	-	
21	ზოგადი და სპორტის ჰიგიენა	-	
22	სპორტული წვრთნის საფუძვლები 1	10	
23	სპორტული წვრთნის საფუძვლები 2	22	
24	მედიკო- ბიოლოგი- ური სასწავლო კურსები	ადამიანის ანატომია	-
25		ადამიანის ზოგადი ფიზიოლოგია	24
26		სპორტის ფიზიოლოგია	25
27		სპორტული მედიცინა	26
28		სამკურნალო მედიცინა და კინეზოთერაპია	27

29	პრაქტიკა	სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები	
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები			
30	ფეხბურთი	2, 4	
31	ჩოგბურთი	2, 4	
32	ხელბურთი	2, 4	
33	ფრენბურთი	2, 4	
34	კრივი	2, 4	
35	რაგბი	2, 4	
თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები			
36	საბაზისოსასწავლო კურსები (20 ECTS)	კომპიუტერული უნარ-ჩვევები	-
37		წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	-
38		მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	-
39		ფილოსოფიის შესავალი	-
40	ინგლისური ენის კომპონენტი (20 ECTS)	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი I	-
41		ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი II	40
42		ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი III	41
43		ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი IV	42

*

ინგლისური ენის კომპონენტის შესწავლას იწყებს A1(Elementary) ან A2(Elementary) დონიდან. აღნიშნული სასწავლო კურსების/კურსის გავლა სტუდენტს შეუძლია პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსების ფარგლებში.

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

(240 კრედიტი)

სწავლების ვადა 4 სასწავლოწელი (2022-2026)

1	კურსის/მოდულის დასახელება	კურსის/მოდულის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა	სათემის რაოდენობა სტუდენტის დატვირთვის სახეების მიხედვით						სათემის საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება სწავლების წლებისა და სემესტრების მიხედვით							
				ლექცია	ჯგუფში მუშაობა	პრაქტიკული	ლაბორატორიული	შუალედური და დასკვნითი გამოცდები	დამოუკიდებელი მუშაობა		I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
											I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი
2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	
ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (155 ECTS)																		
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (143 ECTS)																		
1	მძლეოსნობა I	სავალდებულო	5	4		35		7	79	125	5							
2	მძლეოსნობა II	""	5	4		35		7	79	125		5						
3	ტანვარჯიში I	""	5	4		35		7	79	125	5							
4	ტანვარჯიში II	""	5	4		35		7	79	125		5						
5	ბიომექანიკა	""	5	13		26		7	79	125			5					
6	სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია	""	5	26		13		7	79	125			5					
7	ფიზიკური აღზრდის თეორია	""	5	26		13		7	79	125			5					
8	ქართული ჭიდაობა	""	5	13		26		7	79	125			5					
9	ფსიქოლოგიის საფუძვლები	""	4	26		13		7	54	100				4				
10	სპორტის თეორია	""	5	26		13		7	79	125				5				
11	თავისუფალი ჭიდაობა 1	""	5	13		26		7	79	125				5				
12	მოძრავი თამაშები	""	5	8		31		7	79	125				5				
13	თავისუფალი ჭიდაობა 2	""	5	13		26		7	79	125					5			
14	სპორტის მენეჯმენტი	""	5	26		13		7	79	125					5			
15	კალათბურთი	""	4	4		35		7	54	100					4			
16	ძიუდო 1	""	5	13		26		7	79	125						5		

17	ცურვა	""	5	8		31		7	79	125					5		
18	სპორტის ფსიქოლოგია	""	5	26		13		7	79	125					5		
19	ძიუდო 2	""	5	13		26		7	79	125					5		
20	ჭადრაკი	""	5	13		26		7	79	125					5		
21	ზოგადი და სპორტის ჰიგიენა	""	5	26		13		7	79	125					5		
22	სპორტული წვრთნის საფუძვლები 1	""	5	26		13		7	79	125					5		
23	სპორტული წვრთნის საფუძვლები 2	""	5	26		13		7	79	125							5
24	მედიკო- ბიოლოგიური სასწავლო კურსები	ადამიანის ანატომია	""	5	26		13		7	79	125	5					
25		ადამიანის ზოგადი ფიზიოლოგია	""	5	26		13		7	79	125		5				
26		სპორტის ფიზიოლოგია	""	5	26		13		7	79	125			5			
27		სპორტული მედიცინა	""	5	13		26		7	79	125				5		
28	სამკურნალო მედიცინა და კინეზოთერაპია	""	5	26		13		7	79	125					5		
29	პრაქტიკა	""	5		6	34		5	80	125							5

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (12 ECTS)

30	ფეხბურთი	არჩევი თი	3	4		35		7	29	75				6	6				
31	ჩოგბურთი	""	3	4		35		7	29	75									
32	ხელბურთი	""	3	4		35		7	29	75									
33	ფრენბურთი	""	3	4		35		7	29	75									
34	კრივი	""	3	4		35		7	29	75									
35	რაგბი	""	3	4		35		7	29	75									

თავისუფალი კომპონენტი (85 ECTS)

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (40 ECTS)

1	საბაზისო სასწავლო კურსები (20 ECTS)	კომპიუტერული უნარ- ჩვევები	სავალ დებუ ლო	5			39		7	79	125	5					
2		წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	""	5	26		13		7	79	125	5					
3		მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	""	5	26		13		7	79	125		5				
4		ფილოსოფიის შესავალი	""	5	13		13		7	92	125		5				

5	ინგლისური ენის კომპონენტი (20 ECTS)	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი I	””	5		26	26		7	66	125	5							
6		ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი II	””	5		26	26		7	66	125		5						
7		ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი III	””	5		26	26		7	66	125			5					
8		ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი IV	””	5		26	26		7	66	125				5				
თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (45 ECTS)																			
9	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	არჩევი თი	45								1125	-	-	-	-	5	10	10	20
სულ კრედიტების რაოდენობა		240										30	30	30	30	30	30	30	30
												60		60		60		60	
სულ საათების რაოდენობა		6000										750	750	750	750	750	750	750	750
												1500		1500		1500		1500	

სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები

- სპორტი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება.
- სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი).

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა
სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებისა და თავისუფალი კომპონენტისაგან.

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები (155 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (A) და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (B) სახით.

(A) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (143 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია სპორტის სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, შეძენილი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე. ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 138 კრედიტი, მათ შორის 25 კრედიტი მედიკო-ბიოლოგიური სასწავლო კურსების და 5 კრედიტი პრაქტიკის ხარჯზე.

(B) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (12 ECTS)

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ცოდნის გაღრმავებაზე. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 12 კრედიტი.

თავისუფალი კომპონენტი (85 ECTS)

თავისუფალი კომპონენტი წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების (საბაზისო სასწავლო კურსები (C), ინგლისური ენის კომპონენტი (D)) და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან (E).

(C) საბაზისო სასწავლო კურსები (20 ECTS)

საბაზისო სასწავლო კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების დაუფლებისათვის საჭირო საწყის უნარებს. საბაზისო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი.

(D) ინგლისური ენის კომპონენტი (20 ECTS)

ინგლისური ენის კომპონენტი ორიენტირებულია ინგლისური ენის შესწავლაზე და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, ინგლისურენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე.

ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა არანაკლებ 20 კრედიტის მოცულობით, 4 სასწავლო სემესტრის განმავლობაში. ინგლისური ენის 20 კრედიტიანი სავალდებულო კომპონენტი მიზნად ისახავს ინგლისური ენის B1.1(pre-intermediate) დონიდან (ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) შესაბამისად) B2/1(Intermediate) დონის მიღწევას. სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობს ინგლისურ ენას B1.1(pre-intermediate) დონეზე, მისი ინგლისური ენის ფლობის დონის გათვალისწინებით სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ინგლისური ენის კომპონენტის შესწავლას იწყებს A1(Elementary) ან A2(Elementary) დონიდან. აღნიშნული სასწავლო კურსების/კურსის გავლა სტუდენტს შეუძლია პროგრამის თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსების ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება „ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი IV“ -ის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში საბაზისო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

B2 დონის შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატების და ქულების ნუსხა

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (CambridgeExam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE
(E)	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (45 ECTS)
საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან, წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურს(ებ)ი 50 კრედიტის მოცულობით.	